№ 2

# მომავალი

ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი“

(წინანდელი „კოლხიდა“ ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გიმნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ ალ. თუმანოვის სახლებში დაიწყებს ვაჭრობას ქართულ რუსული **სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით, ფოსტის და ღერბის მარკებით და სხვა.**

კანტორას მოდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო უფრო გავრცელებული **ჟურნალ-გაზეთები** და იღებს იმათზე **ხელის მოწერას.** ვისაც სურს ახალი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ **ახალ წიგნებს,** გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების **სურათებს,** ნახატებიან **ღია ბარათებს** და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ **განცხადებებს** გაზეთებში დასასტამბათ, **საკომისიოთ** წიგნებს და **წარმომადგენლობას** მთელი გუბერნიისათვის წიგნების გამომცემლების, და რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკებისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარეთ რუსულ-ქართული **„რემინგტონი“** და, მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. 6—1

25 აგვისტოდან ისევ გაიხსნება

## წიგნის მაღაზია „ალიონი“

თფილისი, კიროჩნი ქუჩა № 9. სახალხო სახლის პირდაპირ

იყიდება ყოველგვარი წიგნები. მაღაზიას აქვს შეძენილი დიდ ძალი **სახელმძღვანელო წიგნები** (учебныя книги) აგრეთვე **სამოსწავლო ნივთები.**

ვასრულობთ ქართულ წიგნებისაგან ბიბლიოთეკების შედგენას. ქართულ წიგნების **კატალოგი** მსურველთ გაეგზავნება უფასოთ. **ვ. გადილია.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Кирочная ул. № 9 книжный магазинъ „АЛІОНИ“ **Васил͡ію Гадилія.**

გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის.
ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ა. გოგბერთელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. მ. ს. [illegible]ელიშვილი:** ყოველ დღე, [illegible]რდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ. კვირ[illegible] დღ[illegible] მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმ[illegible] გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 80 საწოლით. 100—46

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაკმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

მასწავლებელი

## თ. ქიქვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუხგალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის შეგირდოთ.**

**მიიღება ანბანის უცოდინარი** პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

**მასწავლებლათ მოსამზადებელთა** პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ქირა** თითო თვის **წინდაწინ.**

**ადრესი:** ვერა, ოლღის ქუჩა. ზემელის აფთიაქის ახლო, **№ 17.** 1 სექტემბრიდან ადრესი გამოიცვლება. (18—4)

ქ. ქუთაისში

## თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„ბუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—19)

ქართული სამუსიკალო თეატრი

**ხუთშაბათს, 27 აგვისტოს** ბენეფისი ლოტბარის ბოლოკარბე პეტრეს ძის **ფალიაშვილისა.**

წარმოდგენილი იქნება:

I

რაინდი უშიშარი და გულ-მართალი

ოპ. 2 მოქმ. მუზიკა ლეკოკისა.

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპ. 1 მოქმ. მუზ. ოფენბახისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თამარაშვილი; ბ-ნნი: გ. აბაშიძე, გედევანოვი, იმედაშვილი, საფაროვი და სხ.

დირიჟერი: ზ. პ. ფალიაშვილი

რეჟისორი: გ. აბაშიძე.

დასაწყისი სწორეთ 9 საათზე.

ბილეთების ფასი 3 მანეთიდან 50 კ.-მდე, ბაღში შესვლა უფასოთ.

ქ. ქუთაისში

7 ენკენისთვიდან გამოვა ყოველ-კვირეული პროგრესიული გაზეთი

## ფონი

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჩვენი მწერლები.

გაზეთი წლიურათ ღირება 3 მან., ხოლო თითო ცალი 5 კაპ.

ხელის მოწერა და წერილები მიიღება წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთ“-ში, ალექსანდროვის ქ. ზ. კოკოჩაშვილის სახლში № 5 და მაღაზიის განყოფილებაში—ბულვარის პირდაპირ, გიმნაზიის ქ. 3—1

## ივ. კარუხოვი

გადავიდა, ბელინსკის ქუჩ. № 18.

### თფილისი, 27 აგვისტო

სექტემბერში უნდა მოხდეს არჩევნები სახელმწიფო დუმის სამი წევრის: პეტერბურგში დუმიდან გამორიცხული კოლიუბაკინის მაგიერ, მოსკოვში და ოდესაში გარდაცვლილი პლევაკოს და პერგამენტის ადგილზე. ამ მომავალი არჩევნების შესახებ სატახტო ქალაქის გაზეთები უკვე ბჭობაში არიან, ყველა კანდიდატებზე უფრო პიტერში კადეტების კანდიდატს—კუტლერს ხვდება. მთავრობის გაზეთი „როსსია“, „ნოვოე ვრემია“ და ოქტომბრისტების „გოლოს მოსკვი“ ყველანი ერთხმათ გაჰკივიან: „უმემარცხენესი, მხოლოდ არა კადეტი“. რა ამბავია, რა მოხდა?! განა ვიფიქროთ, რომ უკიდურესი მემარცხენეები სასიამოვნო პირნი გახდენ ოქტომბრისტების და მათი ამყოლ-დამყოლთა თვალში? განა მათი ლოზუნგი შეიცავს იოტის ოდენ გულწრფელობას? ამის შესახებ ორნაირი აზრი არავის არ უნდა ქონდეს. „ნოვოე ვრემია“ მენშიკოვის პირით ყოველ დღე იმას გასჩხავის, რომ სახელმწიფო დუმა პირველათ ყოვლისა უნდა იყოს თავის სულით და გულით წმინდა რუსული; იქ ადგილი არ უნდა ქონდეს „ინოროდცებს“, მეორეთ, ყველა უკიდურესი მემარცხენეები დაუყოვნებლივ გამოძევებულ იქნენ დუმიდან და მათ ადგილი არ უნდა ქონდეთ იქ. რაღა ვთქვათ ოქტომბრისტების შესახებ? ის ვაჟბატონები, რომელნიც ტაშის კვრით შეხვდენ სახელმწიფო „პერევოროტს“—3 ივნისის კანონს, ამ კანონის ძალით ხელმძღვანელი როლი იგდეს მესამე დუმაში, გამორიცხეს დუმიდან კოლუბაკინი და ს.-დემოკრატი კოსოროტოვი რაღაც პოლიციის შეთხზულ ბრალდების გამო, ის ვაჟბატონები, რომელნიც კრინტს არ სძრავენ, პირიქით, ამართლებენ მეორე დუმის მთელი ს.-დემოკრატიულ ფრაქციის კატორღაში გაგზავნას, დღეს გამოდიან და თითქოს მხარს უჭერენ ს.-დემოკრატ სოკოლოვს, რომლის კანდიდატურა იყო წამოყენებული მესამე დუმაში; მაშინ მის მხარის დაჭერაზე კრინტიც არ დაუძრავთ და დღეს სოკოლოვის კანდიდატურა ხელმეორეთ დგება და ოქტომბრისტები მხარის დაჭერას უპირებენ. დიდი გამჭრიახობა როდია საჭირო, რომ ოქტომბრისტების ოინები სავსებით გაიგო. მათი სურვილია კარტები არივდარიონ, წყალი აამღვრიონ და შიგ თევზი ადვილათ დაიჭირონ, მაგრამ მათი იმედები ტყუილია. პეტერბურგის ამომრჩეველმა უკვე მიიღო წარსულში გაკვეთილები, მან იცის, რას აკეთებენ ოქტომბრისტები ამ ორი წლის განმავლობაში დუმაში, მათი მოღვაწეობა გამოიხატა მხოლოდ მთავრობის ლაქიობაში და მისი სურვილების დაკანონებში, ხალხისათვის მათ არაფერი გაუკეთებიათ და მათი იმედი მომავალშიც არავის უნდა ქონდეს. კადეტების გეგემონიაც არ არის უცნობი პეტერბურგის ამომრჩევლებისთვის; მათი ორჭოფული მოქმედება, გაუბედავი ნაბიჯები, გაცხარებული ბრძოლა მემარცხენეების წინააღმდეგ, ნამეტურ ს.-დემოკრატიულ ფრაქციასთან, ჯერ კიდევ არ გამქრალა ხსოვნიდან; ისინი ახლაც გაუწვდიდენ ხელს იმავე ოქტომბრისტებს ს.-დემოკრატების წინაამდეგ, მაგრამ მთელი მათი უბედურება ის არის, რომ ოქტომბრისტების გული მათკენ ჯერ არ მიბრუნებულა და საეჭვოცაა, რომ მიბრუნდეს. ჩვენ ეჭვიც არ გვაქვს, რომ პეტერბურგის მცხოვრებთა უმეტესობის სიმპატია უკიდურეს მემარცხენე—ს.-დემოკრატის კანდიდატურის მხარეზეა, მაგრამ დამახინჯებული საარჩევნო კანონი წინ ეღობება ამ სურვილს და აქარწყლებს მას. ჩვენ ისიც დიდ ყურადღების ღირსათ მიგვაჩნია, რომ „ტრუდოვიკებმა“ და სახალხო სოციალისტებმა გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ ს.-დ. სოკოლოვს და ადვილი შესაძლებელია, პირველი არჩევნები გათავდეს ისე, რომ არც ერთი კანდიდატი არ გავიდეს აბსოლიუტური უმრავლესობით, მარა ამაზე პასუხს 21 სექტემბერი მოგვცემს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო.

### სპარსეთი.

**თავრიზი.** ჩრდილოეთ ყარადაღში საველიევისა და ალიხანოვის რაზმებს შეტაკება მოუვიდათ. ყარადაღელებს მოუკლეს 2 და დაუჭრეს 1. საველიევის რაზმიდან დასჭრეს ერთი სალდათი.

**თეირანი.** საჯაროთ დახვრიტეს ფიდაი, რომელმაც უცაბედათ სამი კაცი მოკლა ქუჩაში.

სპარსეთის მთავრობამ პირველათ შეიტანა რუსეთის საელჩოში 25,000 თუმანი ყოფილ შაჰის სასარგებლოთ, რომელიც 29 აგვისტოს წავა რუსეთში.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** სულთანის მიერ გაგზავნილ დეპუტაციას, ყირიმში, ხელმწიფე იმპერატორის მისალოცათ მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა.

სულთანის ირადეთ აკრძალულია ყურძნისაგან გაკეთებული სასმელის გაყიდვა.

უკანასკნელ დღეებში ევროპის ოსმალეთიდან მომავალი სახალხო მატარებლები ძალზე იგვიანებენ, რადგან ალბანეთში ჯარი გადაყავთ.

გენერალისსიმუსი მაჰმედ-შევკეტ-ფაშა სალონიკში წავიდა.

**სალონიკი.** 21 აგვისტოს პრიზრენის ახლოს მოხდა ალბანელ მეთაურთა სიეზდი. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც დაადგინეს სწამდეთ მხოლოდ შარიატი და ფადიშაჰი.

23 აგვისტოს ჯევად-ფაშა მიტროვიცაში წავიდა ალბანელთა დასამშვიდებლათ, ამავე მიზნით თითო ბათალიონი გაიგზავნა ვერირავიცში. პრიზრენსა და ვერირავიც შუა ბათალიონს თავს დაესხენ ალბანელები. მოკლეს რამდენიმე სალდათი. ჩრდილოეთ ალბანიაში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა ფეხს იკიდებს.

### რუსეთი

**პოლტავა.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩიეს ლიუბლინსკის სამაზრო თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლეონტკოვიჩი.

**ჩერნიგოვი.** სურაჟსკის მაზრის სოფელ ვიაზნოვკაში ცეცხლმა გაანადგურა 13 მოსახლე. სოფელ კუბრიშჩინაში დაიწვა 63 მოსახლე და ოთხი კალო პური.

**ქერჩი.** მოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი კონდოიდი, ყოფილ პოლიცმეისტერ გრინევის დათხოვნის და პასუხის გებაში მიცემის საქმის გამოსარკვევათ.

**ნიჟეგოროდის ბაზარი.** ოფიციალურათ დაიხურა ნიჟეგოროდის ბაზარი. ვაჭრებმა სთხოვეს გუბერნატორს უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოუცხადოს ხელმწიფე იმპერატორს.

**გროზნი.** ქალაქი და ჯარი გუნიბის ორმოცდა ათი წლის თავს დღესასწაულობს. გადაიხადეს პანაშვიდი.

**სტავროპოლი.** 24 აგვისტოს აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის ორმოცდა ათი წლის თავის გამო გადაიხადეს პანაშვიდი დაღუპულ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლათ.

**კრასნოიარსკი.** „რაზიეზდ“ პოლეზნის ახლოს მოკლეს მოიჯარადრე პერცოს მეარტელე და თანმხლები დარაჯი. წაართვეს 6000 მანეთი. ბოროტ-მოქმედნი მიიმალენ.

**ტამბოვი.** 24 აგვისტოს კირსანოვის მაზრაში საგლეხო ბანკის ფულის ამკრებს წაართვეს 4000 მანეთი. 25 აგვისტოს პოლიციამ სოფელ კიპიცში ერთ აზნაურის სახლში მიაგნო მძარცველთა კვალს, მოხდა შეტაკება. მძარცველებში აღმოჩნდენ ცნობილი ყაჩაღები გლოტოვი და კისელევი. უკანასკნელი მძიმეთ დაიჭრა. მესამე მძარცველი, ცნობილი იაგოდკინი სხვებთან ერთათ დაიჭირეს. სროლის დროს პოლიციელებს სეტყვასავით დაუშინეს ტყვიები, მაგრამ არავინ დაჭრილა. წაღებული ფულებიდან ჯერ 1800 მანათი აღმოაჩინეს.

**სიმბირსკი.** საგუბერნიო საერობო კრებამ, სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი პოლივანოვი.

**ბაქო.** ადგილობრივ სობოროში პანაშვიდი გადაიხადეს აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის 50 წლის დღესასწაულის გამო.

### ხოლერა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 28, მოკვდა 1, ავათ არის 298.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტომ პირისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „შეერთებულ შტატების დროშა აფრიალდა ჩრდილოეთ პოლიუსზე“.

**სენჯონსი.** ინდოეთის ნავთსადგურიდან პირიმ დეპეშა გაუგზავნა ნიუფაუნდლენდის გუბერნატორს, რომლითაც ატყობინებს, რომ გახსნა ჩრდილოეთი პოლიუსი.

**ნიუ-იორკი.** პირის დეპეშის თანახმათ, ის 24 აგვისტოს მისულა ჩრდილოეთ პოლიუსზე.

**მელილია.** გენერალ უკვილლერის რაზმმა სუკელვარბის ახლო უკუ აქცია 1500 მავრი. ესპანელთა ჯარის ნაწილმა მაიუნბრაინი დაიჭირა, მავრები ძლიერ დაზარალდენ. ესპანელებს მოუკლეს ერთი და დაუჭრეს ათი.

**კოპენჰაგენი.** უნივერსიტეტის შენობაში მეფის თანადასწრებით გაიხსნა სამშენებლო მასალის გამოცდის კონგრესი. გუშინ მეფემ სადილათ მიიწვია კონგრესის წევრები.

# უკანასკნელი ფოსტა

## სპარსეთი.

**ახალი ვერსია შახის ჩამოგდების შესახებ.** „რ. ს.“ კორესპონდენტისათვის სეპეხდარს და ასადს შემდეგი უთქვამთ: ჩვენ არ გვქონია განზრახვა შახი ჩამოგვეგდო. პირიქით, ჩვენი რაზმის წევრები თეირანში შესვლის დროს ხმა-მაღლა გაიძახოდენ: „გაუმარჯოს მაჰომედ-ალის?!“ მათ სურდათ შახს ტელეფონით მოლაპარაკებოდენ, მარა ტელეფონის მავთულები დაწყვეტილი აღმოჩნდა. მაშინ გავგზავნეს დეპუტაცია და შახს წინადადება მისცეს ზავი ჩამოეგდო და თან აუცილებელ პირობათ პარლამენტის მოწვევას უსვამდენ. ჩვენ ვიცით, რომ შახი თანახმა იყო ჩვენი წინადადების, მარა შემდეგ, არ ვიცით ვისი გავლენით, უარი განაცხადა და რუსეთის საელჩოში გადავიდა.

თეირანის ალების ზოგი დამსწრენი იმასაც კი ამბობენ, რომ რუსეთის საელჩოს ორი წევრი, შახის საელჩოში გადასვლის უმალ, რამდენჯერმე მივიდენ შახის სასახლეშიო.

**ექს-შახის პირობები.** როგორც კი მთავრობა პირობას დასდებს, რომ ის საბაჟოდან შემოსავლით უზრუნველყოფს ექს-შახის ვალს, მაჰომედ-ალი მაშინვე, 48 საათის განმავლობაში გავა სპარსეთიდან.

## ოსმალეთი.

**დაშნაკცაკანებთან შეთანხმება.** ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა სომხების კომიტეტ-დაშნაკციუტუნთან. მოლაპარაკების მიზანია ორივე კომიტეტის შეთანხმება ერთ საერთო პროგრამაზე და საერთო სამოქმედო პლანის შემუშავებაზე.

**მღელვარება ალბანიაში.** მღელვარება ზემო ალბანიაში თან და თან ძლიერდება. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა დანიშნოს იქ უზენაესი კომისარი განსაკუთრებული უფლებებით, რომელსაც მიენდობა რეფორმების გატარება.

**კონგრესის დადგენილება.** „ბერ. ტაგ.“ იუწყება, რომ ამ დღეებში მომხდარმა ახალგაზრდა ოსმალთა კონგრესმა დაადგინა: კრიტოსის საკითხში არაფერი არ დასთმონ და თუ საჭირო იქნება, სამხედრო ძალას მიმართონ.

**ბოიკოტის შეწყვეტა.** ბერძნების წინააღმდეგ ბოიკოტის მომწყობ კომისიამ ცნობა მიიღო მთავრობისაგან, რომ კრიტოსის შესახებ ბერძნებმა პრეტენზიას თავი დაანებეს და ისევ მეგობრული კავშირი დაარსდა ოსმალთა და ბერძნებს შორის. ამიტომ კომისიამ დაადგინა შესწყვიტოს ბოიკოტი, ამასთანავე კომისია აფრთხილებს, რომ უკეთუ ბერძნები ისევ გამოიჩენენ არ ლოიალურ მოქმედებას, ბოიკოტი ხელ ახლად დაიწყება, კრიმალამ კონსტანტინოპოლსა, სმირნასა და ბეირუთში დეპეშები გაგზავნა შესწყვიტონ ბოიკოტი.

## რუსეთი

**გუბერნატორის უარი.** ეკატერინოსლავის გუბერნატორმა ნება არ დართო ს.-დემოკ. დეპუტატ კუზნეცოვს დუმის მოღვაწეობის შესახებ მოხსენების წასაკითხათ, ხოლო მემარჯვენე დეპუტატ ობრაზცოვს კი ნება დართო.

**მაღაროებში მომხდარ უბედურების შესახებ.** სოსნოვიცის მაღაროებში ამ დღეებში დიდი უბედურება დატრიალდა. ჩამოინგრა რამდენიმე მაღარო და შიგ მრავალი მუშა მოიყოლია. მუშების ნაწილი უკვე სამშვიდობოს გამოიყვანეს. პირველათ ყველა მუშები დაღუპული ეგონათ. მუშები თურმე საშინელ წუთებს განიცდიდენ. რამდენიმე მათგანს ერთი ღამის განმავლობაში თმა და წვერი სულ გათეთრებიათ. მაღაროების პატრონებს მილიონობით ზარალი მოუვიდათ. 700 მუშა თავის ოჯახობით ულუკმა-პუროთ დარჩა.

**გატაცებული ხუთას მანეთიანი.** დაატყვევეს ინჟ. ტეხ. პოლაბელოვი. პოლაბელოვი შესულა ბანკში და 500 მანეთიანი წარუდგენია დასახურდავებლათ. ხუთას მანეთიანი შეუმოწმებიათ და აღმოჩენილა, რომ ეს ის ფულია, რომელიც გაიტაცეს თფილისში ერევნის მოედანზე. ეს ამბავი მაშინვე პოლიციას აცნობეს, რასაც შედეგათ ინჟინერის დატყვევება მოყვა. ჩხრეკის ჩამორთმევის დროს მას განუცხადებია, რომ ეს ფული ჯამაგირში მომცეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობიდანო. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ის გაანთავისუფლეს. პოლაბელოვი მდიდარი კაცია. მას საკუთარი ელექტრო-ტეხნიკური ქარხანა აქვს თან სამსახურშიც არის.

**საჩივარი სტოლიპინზე.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ უმაღლესმა საბჭომ საჩივარი აღძრა სენატში სტოლიპინზე; საჩივარი აღნიშნავს სტოლიპინის უკანონობას კავშირისადმი და სთხოვს სენატს ნება მისცეს კავშირს თავისუფლათ მოქმედების.

**ხოლერის მიერ გამოწვეული არეულობა.** პსკოვის მაზრის სოფელ სლობედსკაში გლეხების ყრილობამ, მამასახლისის თანდასწრებით დაადგინა თუ „ხოლერის ექიმი მოვიდა მაზე ძალა იხმარონ და არ მისცენ იქ გასვლის ნება. ექიმი გემ „დორპატით“ უნდა მისულიყო. ბრბო მთელი დღე ელოდებოდა, საბედნიეროთ, ექიმი არ მივიდა და ხალხი დამშვიდდა.

**ვაჭრების გაჩხრეკა.** 22 აგვისტოს, ღამით გაჩხრიკეს პეტერბურგელი ვაჭრები კირილინი და რუბახინი. აღმოაჩინეს სალდათის რამდენიმე ფარაჯა. გაჩხრეკას დამოკიდებულება აქვს საინტენდანტოს საქმესთან.

**ღირსეული თავმჯდომარე.** ტვერის საგუბერნიო ერობის „ზუბრებს“ განზრახვა აქვთ, ტვერის უპრავის თავმჯდომარეთ ცნობილი გურკო აირჩიონ. გურკოს, როგორც ვიცით, სასამართლომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჩამოართვა რამდენიმე წლით. ეს ვადა ჯერ კიდევ არ გასულა, მარა ამას, რასაკვირველია, არ დაგიდევენ ტვერის „ზუბრები“. ფერი ფერსაო რომ იტყვიან, ეს არის.

**ისევ ჟუჩენკოს შესახებ.** პროვოკატორ ქალის ჟუჩენკოს შესახებ გაზეთები სავსეა სხვა და სხვა ცნობებით. საზოგადოების ყურადღებას ახლა—ეს პატარა ამბეფი იპყრობს. ჟუჩენკო ვიტებსკის მცხოვრებია, მდიდარი ოჯახის შვილი. თავის საშინელი მოღვაწეობა 1894 წელს დაუწყია. 1895 წელს მას გაუცვნია ყველა ისინი, ვინც შეთქმულებას აწყობდა რასპუტილზე. რომ მასზე რაიმე ეჭვი არ აეღოთ, ის განზრახ დაიჭირეს და 11 თვე ციხეში იჯდა. ამის შემდეგ ის კიდევ უფრო დაუახლოვდა რევოლიუციონურ წრეებს. მხოლოთ რამდენიმე პირმა იცოდა, რომ ის საშიშარი და დამღუპველი ჯაშუში იყო. პირველი მსხვერპლების გაცემის შემდეგ, მან თითქოს დაისვენა, და რამდენიმე წლის განმავლობაში არავითარ ცნობას არ აძლევდა პოლიციას. ამ წლებში ის ცოლათ გაყვა რუს სტუდენტს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მიატოვა და თავისთვის ცხოვრებდა ლეიპციგში. 1905 წელს მან ისევ განაახლა თავისი საშინელი მოღვაწეობა. ის ეხლა ჯაშუშობით როდი კმაყოფილდება. ის უკვე პროვოკაციას იწყებს. ჩნდება მოსკოვში, კისრულობს ცენ. კომიტეტისაგან საზღვარ-გარეთ იარაღის ყიდვის მონდობილობას, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ყველას პოლიციას აჭერინებს. მან მოაწყო რეინბოტზე თავდასხმა ჯერ მან თვითონ უჩვენა ფუჰმანს თეატრში ადგილი, თუ სიდან უნდა ესროლათ რეინბოტისათვის, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციას დააჭერინა. უკანასკნელათ მან კასცა მთელი ჯგუფი რევოლიუციონერების 1909 წელს. ის რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან დაახლოვებული იყო აზეფთან. ბევრ რევოლიუციონერებს მიუღია მისი ხელიდან ბომბები, მარა რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ბომბებით ხელში დაუჭერიათ. ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, თუ რამდენია მის მიერ გაცემულ მსხვერპლთა რიცხვი.

— ჟუჩენკო ამ ჟამათ, როგორც ვწერდით, ბერლინში ცხოვრობს. უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ ბერლინის ყველა რადიკალური და მემარცხენე გაზეთები გადაჭრით მოითხოვენ ჟუჩენკოს ბერლინიდან გაძევებას.

## საზღვარ-გარეთ.

**გაფიცვა შვეციაში.** ბერლინის გაზეთები იუწყებიან: გაფიცვის შეწყვეტის ნიშნები ჯერ კიდევ არ სჩანს. გაფიცვის შეწყვეტის შესახებ ბჭობა ჰქონდა გაფიცვის კომიტეტს, სადაც გადასწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება.

— მთავრობის მიერ შეკრებილ ოფიციალურ ანგარიშში გაფიცულები „უმუშევრებათ“ არიან ნახსენები. მეტათ გასაოცარია ის ცნობები, რომლებსაც საზღვარ-გარეთ გზავნიან მუშაობას დაწყების შესახებ. მაგ. გაზეთების სისტემატიურათ გამოსვლის შესახებ. ორი კვირის განმავლობაში ატყობინებდენ, რომ სტოკჰოლმის გაზეთები ჩვეულებრივი ფორმატით გამოდისო. ნამდვილათ კი, ეს გაზეთები განცხადებებით და ძველი დარჩენილი წერილებით იყო გავსებული.

კორესპონდენტებმა გამოიკვლიეს ფულის განაწილების საქმე გაფიცვის ფონდიდან და აღმოჩნდა, რომ კომიტეტი უპირველეს ყოვლისა დახმარებას უწევს დიდ ოჯახებს, ხელ-მარტო ქალიშვილებს და შავ მუშებს. შავ მუშებს ყველაზე მეტ დახმარებას უწევს კომიტეტი. საკვირველი ის არის, რომ ბევრი ჯერჯერობით უარს ამბობს დახმარებაზე და თვითონ ცდილობს როგორმე გაიტანოს თავი.

გაფიცული მუშები მთელ დროს კითხვას ანდომებენ, რასაც მოწმობს სახალხო სამკითხველოებიდან გატანილ წიგნების რიცხვი.

**ავსტრიის ს.-დემოკრატია და სასახლე.** ავსტრიის მეფემ, ინსაბურგში ყოფნის დროს სადღესასწაულო სადილზე მოიწვია რეიხსტაგის ყველა ადგილობრივი დეპუტატები, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც. უკანასკნელებმა, რასაკვირველია, უარი განაცხადეს.

**ისევ გარტინგი.** ჟუჩენკო გამოუტყდა ბურცევს, რომ ის მონაწილეობას იღებდა გენერალ რეინბოტზე თავდასხმაში. ამასთანავე მან უთხრა ბურცევს, რომ მოსკოვის „დაცვის განყოფილების“ უფროსს პოლკოვნიკ ფონ-კოტენის მოკვლის გამზრახველი გარტინგი იყოვო.

**იაპონიის საქონლის ბოიკოტი.** სამხრეთ ჩინეთიდან იაპონიის საქონლის ბოიკოტი ჩრდილოეთ მანჯურიაში გავრცელდა. ჩინელ ვაჭრებს განძრახვა აქვთ აღარ მიყიდონ იაპონელ კომპანიების ხორბალი და ცერცვი. ეს გარემოება იაპონელების მხრით რეპრესიებს გამოიწვევს.

## ახალი ამბები

—

**კავკასიიდან გადასახლებულები.** ამ დღეებში კავკასიიდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთ, რომლებიც ვიატკის გუბერნიაში იმყოფებიან, გამოუცხადეს პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება, რომლის ძალითაც ისინი თავისუფლდებიან პოლიციის მხედველობიდან და ნება ეძლევათ იცხოვრონ იმპერიის ყველა ადგილებში გარდა კავკასიისა, სატახტო, საუნივერსიტეტო სანავსადგურო ქალაქებისა. მათ უკვე დაურიგეს ბილეთები და დაუყონებლივ უნდა წავიდენ მათ მიერ არჩეულ ადგილებში. ამ გამოცხადებასთან ერთად მოუსპეს დახმარება ხაზინიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ უმრავლესობა კავკასიიდან გადასახლებულებისა სოფლელებია, რომლებმაც რუსულათ ლაპარაკიც კი არ იციან; ეს განკარგულება კიდევ უფრო აორკეცებს გადასახლებულთა ისედაც აუტანელ მდგომარეობას, რადგან ერთი მხრით დახმარებაც მოუსპეს, ხოლო მეორე მხრით არსაიდან დახმარება არ მოსდით. ასე რომ წასასვლელ-წამოსასვლელი ფულიც კი არ აქვთ. („ზ.“)

✦ **პ. პ. ფალიაშვილის ბენეფისი.** დღეს ქართულ საზაფხულო თეატრში პ. პ. ფალიაშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება: „რაინდი უშიშარი და გულ-მართალი“ ოპ. 2 მოქ. მუზიკა ლეკოკისა და „მეჯლისი იტალიელებით“. სხვათა შორის მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ტასო აბაშიძე, იმედაშვილი, ვასო აბაშიძე, გედევანოვი და სხვ.

✦ **სკოლა მუსულმანებისათვის.** ამიერ კავკასიის მუსულმანთა სამღვდელოების შიიტის სამმართველომ, რომელსაც განზრახვა ქონდა მე-6 საპოლიციო ნაწილში მეჩეთი აეგო, გადაწყვიტა მეჩეთის მაგიერ ააგოს თათრული სკოლა მუსულმანთა ბავშვებისათვის. სკოლა იქნება სამ კლასიანი, ორ-ორი განყოფილებით თითოეული. სკოლაში ასწავლიან განსაკუთრებით თათრულ, სპარსულ და არაბულ ენებს; ამასთანავე, პირველ განყოფილებიდან ასწავლიან რუსულ ენასაც.

✦ **სასამართლო.** 7 სექტემბერს თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ს. მაჭავარიანის საქმეს, რომელიც პასუხის გებაშია მიცემული მის მიერ შედგენილ წიგნაკის—„ვინ არიან ხალხის მტრები, სოც.-დემ. თუ სოც. ფედერა-

---

# საპყრობილეში

### საერთო კამერაში.

(გაგრძელება)

გამიგონია, მაგრამ ეხლა მე თვით დავრწმუნდი, რომ სიკვდილით სასჯელი თვითონ როდია ისე ძნელი, როგორც მისი მოლოდინი; როცა იცი, რომ ის დგას კარებთან და ეს ეს არის გადმოდგამს შენკენ თავის ნაბიჯს... ამით შეუბრალებლათ სარგებლობენ, დიდხანს, დიდხანს აჩერებენ დასასჯელს სიკვდილ სიცოცხლეს შუა.

— აბა, დროზდოვო, შესწირე მადლი უფალს და მეფეს. გენერალ-გუბერნატორმა შესაძლებლათ სცნო სიკვდილით სასჯელი შეგიცვალოს შენ სამუდამო კატორღათ.

მესმის ეს სიტყვები და ამასთან ერთათ მაგონდება ის ღამე, როცა მე მესამე სართულის სახურავზე მყოფი უცებ შეყვარებულებს გადავეყარე, მაგონდება ეს და შიში მიპყრობს—ხომ არ გავგიჟდი მეთქი. მესმოდა, რომ არ დამახრჩობენ, ვხედავდი იმ ღამინდელ სცენას და თან ვფიქრობდი—გიჟი ვარ ეხლა მე თუ საღი ჭკუის... მესმის სიცილი, დაცინვა, ვიღაცები მიცქერიან და იკრიჭებიან:

— წაიყვანეთ უკან დროზდოვი... თვითონ კლავენ სხვებს, ხოლო როცა მაგათ მოუნდომებენ სამაგიეროთ მოკვლას, მაშინ წინააღმდეგნი არიან სიკვდილით სასჯელის, მაშინ სიკვდილით სასჯელი ბარბაროსობაა... ჰოტენტოტების ფილოსოფია... წაიყვანეთ უკან დროზდოვი! მომდევს უკან ბოროტი, ცივი და დამცინავი ხმა, მომდევს უკან ვიღაცის სიცილი... აქ დაიწყო ციება, აქ ამიტყდა კანკალი, დავწექი, მთელი დღე ხან მაციებდა, ხან სიცხეში ვბოდავდი და ვშფოთავდი...

არ ვიცი ბევრს ვფიქრობდი, ბევრს ვიტანჯებოდი თუ რა, მართალი თუ გინდა, ისიც არ ვიცი სიზმარი იყო ის დღეები თუ ცხადი, არ ვიცი...

ორი თვე და 21 დღე დავყავი მე სიკვდილის მოლოდინში. დედა ჩემი ქალაქიდან არსად მიდიოდა, ყოველ დილას მოდიოდა სატუსაღოს კარებთან ამბის გასაგებათ, კვირაში ერთხელ კი მნახულობდ. ერთ დღეს მნახა მან და თავისი ღიმილით მითხრა:

— ქრისტე აღდგა!..

საცოდავს გაუხარდა ის, რომ მისი ერთათ ერთი შვილი ცოცხლათ იქნება დასამარებული... ესეც სასიხარულო გამოდგა!

— გძინავს? მესმის ნელი ხმა კოლასი.

— არა, არ მძინავს... დიდი ხანია არ მძინავს. ნელი ხმითვე მაძლევს მე პასუხს. ნაშუაღამევის სამი საათია. მე კი თითქმის მთელი ღამე არ დამიძინია. საშინელი სიცხეა. თითქოს სადმე იწვის უზარმაზარი ტყე და იქიდან გახურებულ ჰაერს დენის ქარი ჩვენ კამერაში. ჰაერი გაჟღენთილია ადამიანის ოფლის სუნით, სხვადასხვა გაზებით და ვინ იცის კიდევ რით. თორმეტი კაცისთვის მომზადილ ბინაში ოცდა თერთმეტი კაცი ვიმყოფებით, ამასთან ასეთი საშინელი სიცხეა, მოდი და დაიძინე აქ.

— მეც გატყობ, რომ არ გძინავს... მოდი ერთი სულ ერთიან გამოგაფხიზლებ. გსურს გამოგაფხიზლო?

— ეს როგორ გამომაფხიზლებ? ვერ გავიგე მე.

— რას იზამ, მაგალითათ, რომ გაიგო, რომ შენთან ერთათ ოთახში ცხოვრობს ჯალათი.

მე წამოვჯექი ლოგინზე და მას შევხედე. ის კი მიცქერის მე და არ ვიცი იღიმება თუ მე მეჩვენება მხოლოდ მღიმარე.

— ჰო, რას იზამ? მეკითხება ის.

— ასეთი კითხვა უალაგოა, იმიტომ რომ, არასოდეს არ შეიძლება ეს მოხდეს, არ შეიძლება, რომ ჯალათი და მე ერთ ბინაზე, ერთ ოთახში შევხვდეთ ერთმანეთს.

— ვთქვათ, რომ შენ მართალი ხარ —არ შეიძლება, მაგრამ... მაგრამ რას იზამ. მაინც რომ ვინიცობაა ეს მოხდეს.

მე დავფიქრდი. მართლა რას ვიზამ, რომ ჯალათი დააჯინონ უცებ ჩემთან ერთათ? და უცებ შიშის ჟრუანტელმა დამირბინა ტანში, უცებ დავრწმუნდი, რომ ვერაფერს ვერ ვიზამ. რა თქმა უნდა, ვიყვირებ, რა თქმა უნდა, მოვითხოვ უფროსს და მოვთხოვ მას, რომ მომაშორონ ეს მხეცი, ან მე გამიყვანონ აქედან, რა თქმა უნდა, რომ ვერაფერს ვჭამ იმასთან ერთათ, ვერ დავიძინებ, ვერ შევხედავ მას, მაგრამ ვიცი რომ ეს არ კმარა, ხოლო ამაზე მეტს ვერაფერს შევიძლებ..

— ჰო, რას იზამ? მესმის ისევ ხმა და ეხლა ამ ხმაში მესმიან სასტიკი, სასტიკი ნოტები.

— რაც შესაძლებელია ჩემი მხრით ყველა ზომებს მივმართავ, რომ მე და ჯალათი ერთათ არ დავრჩეთ! ვაძლევ პასუხს, თუმცა ვიცი, რომ ეს არავის არ დააკმაყოფილებს, ასეთი პასუხი,

— მოკლავ ჯალათს, შემთხვევა რომ მოგეცეს?

— გარემოებას გააჩნია: მოვკლავ, მაგალითათ, იმ დროს; რომ დავინახო, როცა ის ადამიანს ახრჩობს, თუ რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი იქნება.

— თუ დაძინებული ნახე შენს ოთახში მიხვალ და გამოგუდავ, წაუჭერ კისერში ხელს?

— ოჰ, არა! და შევკრთი.

— ძალიან კარგი. მიპასუხე, რომ უცებ ბათ გამოდგეს რომ ჯალათი შენი ამხანაგია, მაშინ როგორ მოიქცევი, მოიწვევ ციხის უფროსს?

— რათ მისვამ ასეთ ახირებულ კითხვას ღმერთმანი არ მესმის, ეს როგორ შეიძლება, რომ ჯალათი ჩემი ამხანაგი გამოდგეს?

— წარმოვიდგინოთ, რომ ჯალათი შენი ამხანაგი გამოდგა—რას იზამ?

— რაც არ იქნება, იმის წარმოდგენა სისულელეა...

— დამიგდე ყური, აქ ამ კამერაში ზის ჯალათი! ცოტა უფრო დაბალი ხმით მეუბნება ის,—ნამდვილი ჯალათია, რომელსაც თავი მოსწონს იმით, რომ ჯალათია...

— რას ამბობ... ვინ? რომელი?..

— დაიცა, ჩუმათ! მე იმას ვათქმიებ ყველაფერს... მართლა პროფესიონალური ჯალათი არ გეგონოს. სრულიადაც არა. ის წინათ რევოლიუციონერიც იყო, ეხლა კი ანარქისტ-ინდივიდუალისტია. ე. ი. ასე ეძახის თავს, ნამდვილათ კი ალლაჰმა უწყის თუ ვინ არის ის, თუ სიმართლეს მათქმიებ ცოტათი გიჟია... არავითარი ჯამაგირი მას არ ქონია ჯალათობისთვის, ის კი არა, სასიკვდილო განაჩენი მიიღო ამ საქმისთვის, მაგრამ შეუცვალეს სამუდამო კატორღათ, ვინაიდან სამსაჯულო სავსებით ვერ დარწმუნდა მის დანაშაულში, ე. ი. იმაში რომ გაიყვანა სხვებთან ერთათ ორი, მათ მიერ ჯაშუშობაში შემჩნეული პირი ქალაქ გარეთ, ტყეში, გაასამართლა ისინი, წაუკითხა განჩინება და იქავე ტყეში, სწორეთ იმ დროს, რა დროსაც მთავრობა ახრჩობს დამნაშავეებს ჩამოახრჩო ტყეში, ერთი ხის ტოტზე, დილის ოთხ საათზე. ხოლო დამხრჩვალი გვამები იქავე დაკიდული დატოვა, განჩინება კი ჯიბეში ჩაუდვა ერთ მათგანს.. მან მისი საკუთარი ხელით დაახრჩო ისინი. თვით წამოაცვა კისერზე ბაწარი, თვით შეუკრა უკან ხელები, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ჯალათი ჩადის ჩაიდინა მან, სხვები კი ეხმარებოდენ... არის თუ არა ის ჯალათი?

— დაიცა... მოითმინე.. ეს როგორ?.. მაგრამ ენა დამებორკა.

— შენ პირდაპირ მითხარი, არის თუ არა ჯალათი ის? მან თავის ხელით დასაჯა ისინი, თავის ხელით ჩამოარჩო, მსაჯულიც თვითონ იყო, ერთი სამთაგანი... ამასთან, დეე იცოდე შენ რომ მათ, ესე იგი დამხრჩვალ პირებს ეწამებოდა ამხანაგების გაცემა, რის შედეგათ შვიდი რევოლიუციონერი დაახჩვეს... არის თუ არა ის ჯალათი?

მე კიდევ ვერაფერს ვეუბნები.

— ამასთან კიდევ იცოდე შემდეგი, იმ ორ ჩამომხრჩვალ პირებში ერთი შემდეგ სრულიად მართალი გამოდგა, დოკუმენტალურათ დამტკიცდა, მხოლოდ ერთი იყო ჯაშუში, ნამდვილი გამცემი, პროვოკატორი, მეორე კი ცამდე მართალი, რევოლიუციის ერთგული, საიმედო ამხანაგი... მიპასუხე არის თუ არა ის, იმათი ჩამომხრჩვალი ჯალათი? არის თუ არა?

— დაიცა კოლა, შენ ხუმრობ...

— სრულიადაც არ ვხუმრობ ამხანაგო, მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო, სრულიადაც არ ვხუმრობ... ის ფურჩულობს, თითქოს ქშენს, ძლივ ვარჩევ იმის სიტყვებს,—სრულიადაც ვხუმრობ. და ამას გარდა იცოდე კიდევ შემდეგი: იმ სამ მსაჯულთა შორის, რომელთაც გაასამართლეს და სიკვდილ

...ისტები"—გამო. მას გაასამართლებენ ...ისხლ. სამ. 129 მუხ. ძალით. დაიცავს ...აფიცი ვექილის თანაშემწე ივ. კახუხოვი.

**ახალი გაზეთი.** 7 სექტემბრიდან ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული ქართული გაზეთი „ფონი". გაზეთის ნომერი ღირება 5 კაპ.

25 აგვისტოს მე-8 საპოლიციო ნაწილის სანიტარო მზრუნველმა ბოქაულისა და სხ. თანდასწრებით დაათვალიერა ზოგიერთი ადგილები. აღმოაჩინეს ბევრი უვარგისი ხილი, რომელიც იქვე დასწვეს.

**თავის მოკვლის განზრახვა.** 24 აგვისტოს თფ. მცხოვრებმა ტატიანა ბელიაევმა 16 წლისამ განიზრახა თავის მოწამლვა და დალია ნიშადურის სპირტი. ის საჩქაროთ გაგზავნეს საავათმყოფოში, რითაც სიკვდილს გადარჩა. მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა გამოურკვეველია.

**თფილისის საგუბერნო სამმართველოს** განკარგულებით პასუხის გებაში იქნა მიცემული მე-7 საპოლიციო ნაწილის ყოფილი ბოქაული სტანისლავ გრიუციუნასი და ყოფილი გოროდოვოები ფ. შევეზსილი და სოლომონ კუტაშვილი. პირველს გაასამართლებენ სასჯელთა დებულების 404 მუხ. ძალით, ხოლო უკანასკნელს—452 მუხ. 1 ნაწ.

**სეირნობა საკვირაო სკოლის სასარგებლოთ.** 8 სექტემბერს სინემატოგრაფ „მუზას" ბაღში გაიმართება სეირნობა თფილისის ერთ ერთ საკვირაო სკოლის სასარგებლოთ.

**უბედური შემთხვევა.** 25 აგვისტოს მ. ხეილის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონს ქვეშ მოჰყვა მუშა ბალაკირევი, 27 წლისა, რომელსაც ვაგონმა მარცხენა ფეხი მოსტეხა, ხოლო მარჯვენა იღრძო. დაშავებული ბალაკირევი გაგზავნეს მიხეილის საავათმყოფოში.

**ქურდობა.** 25 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებ ტ. ტერ-ხაჩატუროვს მოჰპარეს სხვა და სხვა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, 127 მ. 50 კ. ღირებული. იქვით დააპატიმრეს მისივე სახელოსნოს შეგირდი ლევან მჭედლიშვილი.

**სხვა და სხვა ამბები** 24 აგვისტოს სოფ. ყარაბულახის მცხოვრებმა მნაცაკან ყაზარიანცმა განაცხადა პოლიციაში, რომ სახლში არ ყოფნის დროს ვიღაცეებმა მოჰპარეს მას 5 მან. ფულათ და 10 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები.

— 25 აგვისტოს, ნადვორ. სოვეტ. ქალმა ნინა ნიკოგოსოვამ, რომელიც სერებრიანნი ქუჩ. ცხოვრობს განაცხადა პოლიციაში, რომ მას ამოართვეს ჯიბიდან 40 მან. ამის გამო პოლიციამ დააპატიმრა ქ. ქუთაისის მცხოვრები ანასტასია ტოხმაჩევი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

## ცოტა რამ ქალაქის საქმეებზე

(გაკვრით)

ახლოვდება საზაფხულო ვაკაციების შემდეგ ქალაქის საბჭოს მოღვაწეობის დრო და სხვა მრავალ კითხვათა შორის, რომლების გადაწყვეტა შეტანილია საბჭოს მიერ გასარჩევ კითხვათა რიგში, არის ერთი კითხვა, რომლის შესახებ ორიოდე სიტყვა ზედმეტი არ იქნება. თუ ახალი საყასბოს აგება და აგრეთვე საგაზო ქარხნის აშენება და სხვა ამგვარი კითხვების გადაწყვეტაში დაინტერესებულია მცხოვრებთ შეძლებული ნაწილი ე. ი. საბჭოს არჩევნებში გაბატონებული კლასი,—სამაგიეროთ, კითხვა ქალაქის მიწების გაყიდვის შესახებ,—რომელიც, მიუხედავათ წინანდელი გადაწყვეტილებისა, აუცილებლათ დაუდგება წინ საბჭოს,—უნდა აინტერესებდეს საზოგადოების ფართე ნაწილს.

ქალაქს აქვს აუარებელი თავისუფალი მიწები, ქალაქი ერთი უდიდესი მემამულეა და ჩვენ არც კი ვიცით რაში გამოიხატებოდა დღემდის ამ მიწების სარგებლობა ქალაქისავის, რა ფორმით ეწეოდა ქალაქი ამ მიწების ექსპლოატაციას. მარა დღეს, რადგან მოსალოდნელია, რომ სექტემბრიდან საბჭო შეუდგება მიწების გაყიდვის გადაწყვეტას—საჭიროა გავარკვიოთ კითხვის ერთი მხარე—ე. ი. თუ რას ნიშნავს მიწების გაყიდვა კერძო პირებზე, როგორც ქალაქისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებმაც უნდა შეიყიდონ ქალაქის მიწები.

უკანასკნელი გამოანგარიშებით ქალაქს, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში აქვს სულ 9,688,800 საჟენი მიწა. დიდი ნაწილი ამ მიწების მდებარეობს რკინის გზის სადგურის გადაღმა, რომელსაც ჩვენ ამ წერილში გამოვყოფთ, და მაზედ ვილაპარაკებთ. ამ ათიოდე წლის წინეთ ეს მიწები წარმოადგენდენ ტიტველა მინდვრებს. იმ დროს აქ ვერ დაინახავდით უბრალო ქოხსაც კი; ამ დროს ეს მიწები არ აძლევდა ქალაქს არავითარ შემოსავალს, და თუ რამეს აძლევდა, ისიც ცოტას, რადგან მაშინ ეს მიწები საძოვარ მინდვრებს წარმოადგენდენ. მარა მას შემდეგ, რაც აქ დაარსდა რკინის გზის მთავარი სახელოსნო—სიცოცხლე აქაც გაჩაღდა. მუშებმა, რომლებიც მუშაობდენ ახლო მდებარე დაწესებულებებში, იწყეს დენა თავისუფალ ქალაქის მიწებისკენ და გაჩაღდა მისი მოშენება. ეს მოვლენა მეტათ განვითარდა 1903 წლიდან—გასულ წლამდე. ქალაქის თვითმართველობას არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება ქალაქის მიწების ასეთ გარემოებისათვის და აი, იწყება ბრძოლა ნაძალადეველებსა და ქ. წარმომადგენელთა შორის. ამ ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ნაძალადეველების მეტი ნაწილი თავიანთ ნაჭრების მოიჯარადრეებათ გახდენ. დღეს ნაძალადევში სახლობს ათასამდე მოიჯარადრე, მარა ერთი ნაწილი ამ პირებისა ჯერ კიდევ ითვლებიან ქალაქის მიწების „მესაკუთრეებათ" და სურთ აღიარონ ქალაქი მათი ნაჭრების მესაკუთრეთ. გამგეობამ საქმე სასამართლოებში გადასცა, აქ კი თითქმის ყოველივე კითხვა ქალაქის სასარგებლოთ წყდება—რის შემდეგ ეს „ჯიუტი" კატეგორიაც გადადის მოიჯარადრის ნიადაგზე და აძლევს ქალაქს დაწესებულ პირობას.

ამის შემდეგ იწყო ზრდა შემოსავალმა ამ ადგილებისგან და დღეს ეს შემოსავალი წლიურათ 22,432 მანეთს აღემატება.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყოველ დღე გამგეობა ღებულობს ათამდე თხოვნას მიწების იჯარით მიცემის შესახებ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში—უნდა ვიფიქროთ, რომ დროს განმავლობაში მიწების საიჯარო შემოსავალი დიდათ აიწევს. ქალაქის გამგეობის ცნობით, ნაძალადევში მცხოვრებთა რიცხვი, რომლებიც ქალაქის მიწებით სარგებლობენ, უდრის 2,582 კაცს. ეს რიცხვი ეხლა გამრავლებულია, რადგან ანგარიშის მოხდენის შემდეგ კიდევ ბევრი ნაჭრები გასცა გამგეობამ საიჯაროთ.

გასულ წელს ქალაქმა დაჰყო თავისი მიწები ნეშვიდე ნაწილში 500 ნაჭრათ, და იჯარით მისცა რკინის გზის დაბალ მოხელეებს: მეისრეებს, გზის მუშებს, კანტორის მოხელეებს, ტელეგრაფისტებს და სხვა. აგრეთვე თავისუფალი საიჯაროთ გამზადებული მიწები აქვს ქალაქს საბურთალოზე და სხვაგან. ამნაირათ, ქალაქის მიწები საიჯაროთ გაცემის გამო ქალაქის შემოსავლის თვალსაჩინო ფაქტორათ ხდება.

მარა ამ მოვლენას უარყოფითი მხარეც აქვს, რომელსაც გამგეობა მეტის სიფრთხილით უნდა მოპყრობოდა. სახელდობრ ის, რომ მოიჯარადრეს მალე ებადება კერძო საკუთრების ინსტიქტი. წელს მან ოთახი აავო. რატომ არ შეუძლიან კიდევ რამდენიმე წელს დარჩეს ნახევრათ მშივრათ და გადასდოს ფული მიწის გამოსასყიდათ? აზრი მეტათ მაცდურია.

ამ აზრმა ჩვენი მოიჯარადრენიც გაიტაცა. ისინი უკვე რამდენიმე წელია, რაც მოსვენებას არ აძლევენ ქალაქის გამგეობას მიჰყიდონ მათ ნაჭრები.

როგორ მოიქცა ქალაქი ამ შემთხვევაში?

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც სურს რომ სექტემბრიდან გაზ. „მომავალი" ეგზავნებოდეს, ხვედრი ფულის შემოტანა უნდა დააჩქაროს.

„მომავლის" კანტორა.

1906 წელს ქალაქის საბჭომ ნება დართო მოიჯარადრეთ მიწების შესყიდვისა. რას ნიშნავს საზოგადოებისათვის ეს დადგენილება?

ჯერ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ დღევანდელი ქალაქის საბჭოებს, თუ მათი ლიბერალურათ თავის კატუნი უბრალო ოხუნჯობა არ არის, არ აქვთ არავითარი უფლება გაყიდონ მიწები, რომლებიც ქალაქის ყველა მცხოვრებთ ეკუთვნის, რადგან ისინი არ არიან მცხოვრებთა წარმომადგენლები, დღევანდელი ხმოსნები დროებითი სტუმრები არიან ქალაქისათვის. ნამდვილი პატრონი ქალაქს მომავალში ეყოლება.

თუ დაუდგება ქალაქს ეს კითხვა წინ, ის მცხოვრებთა უმრავლესობამ უნდა გადასწყვიტოს და არა 627 კაცის წარმომადგენლებმა. საბჭოს კატეგორიული უარი უნდა ეთქვა ნაძალადეველთათვის, რადგან საზოგადო ინტერესები როდი მოითხოვს თავის საზარალოთ მცხოვრებთა ერთი ნაწილის ინტერესების დაკმაყოფილებას.

ქალაქს უნდა ქონდეს უფრო ფართო საზოგადოებრივი მისწრაფება ამ კითხვის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქის ზრდას თან ახლავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ადმინისტრატიული და კულტურული დაწესებულებები. მაგ. სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები და სხვა. ეს დაწესებულებები ხომ თვით მცხოვრებთა ფარგლებში უნდა იყოს, და აბა, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს ქალაქი, როდესაც მომავალში მას სასყიდლათ ექნება საჭირო მიწები!

ქალაქს დაახლოვებით 10,000 მანეთამდე ეხარჯება წლიურათ კერძო პირთაგან ბინების საქირაოთ, თავის სხვადასხვა დაწესებულებებისათვის და რომ მომავალში ეს რიცხვი კიდევ უფრო არ გამრავლდეს, საბჭო შემცირების მაგივრათ, შეძლების და გვარათ უნდა ადიდებდეს ქალაქის მიწის ფონდს. მართალია, მიწის კომისიამ საბჭოში, რომლისაც უკვე მზათ აქვს მოხსენება მიწების გაყიდვის შესახებ—გამოყო 362 ნაჭერი, რომლის გაყიდვაზე ქალაქმა უარი უნდა უთხრას მოიჯარადრეთ, მარა აბა ვინ არის თავმდები, რომ სწორეთ ეს ნაჭრები იქნება საჭირო ქალაქის საბჭოს მომავალ საზოგადო დაწესებულებებისათვის. ამ მოსაზრებით საბჭო მოვალეა უფრო პრინციპიალურ ნიადაგზედ აყენებდეს ამ კითხვას, როგორც ამას წარსული წლის მაგალითები გვიმტკიცებს. მაგ. 1906 წლამდის ქალაქის საბჭო თითქმის ყოველ წლობით ადასტურებდა ქალაქის მიწების გაუყიდველობის სურვილს. ამ გზის შეცვლა და ასეთ დიდ კითხვაში გადაჭრილი შეხედულობის უქონლობა მეტათ საზარალოა ქალაქისათვის და მას მომავალში არა ერთხელ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

აგრეთვე, ქალაქის საზარალოა მიწების გაყიდვა ფინანსიური მხრითაც. ამას ამტკიცებს შემდეგი ანგარიში: საბჭოს სპეციალურ კომისიის შეფასებით, ქალაქმა გასასყიდ მიწებში უნდა აიღოს 906,109 მ. 86 კ. დღეს კი ქალაქი საიჯარო ფულს იღებს 22,432 მანეთამდე. თუ მივიღებთ სახეში, რომ 6 წლის შემდეგ საიჯარო ფასი მატულობს 10 პროც. დავრწმუნდებით, რომ ამ მხრითაც ქალაქის მიწების კერძო პირებზე გაყიდვა ქალაქისათვის საზარალოა.

ამ ნაირათ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როდესაც ეს კითხვა, კომისიის საბოლოვო დასკვნით, სექტემბერში, კვლავ წარუდგება საბჭოს გადასაწყვეტათ, საბჭოში აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც კითხვას პრინციპიალურათ გაარკვევენ და დაარწმუნებენ საბჭოს ამ კითხვის შესახებ 1906 წლის დადგენილების გადასინჯვის საჭიროებაში.

**კ. ფირცხალაიშვილი.**

## კორესპონდენცია

**ს. ნაისაკოვი** (სამეგრელო). აქაური მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ქურდ-ყაჩაღებისაგან. მთავარი ბუნაგი ამ სოფელში აქვთ. როგორც კი სიმინდი წამოიზრდება, შიშით ღამე გარეთ ვერავინ გამოდის. გზებზე კი დღისითაც საშიშია გავლა. ორი შაურისთვის კაცს კლავენ. ცხენ-

---

დასაჯეს ის ორი ადამიანი ერთი, რომელიც თავმჯდომარის როლს ასრულებდა გამოდგა თვითონ პროვოკატორი, რომელიც შემთხვევით გამოჟღავნდა ერთი კვირის შემდეგ და ბრაუნინგით მოკლულ იქნა, ასე რომ ვერაფერის გამჟღავნება ვერ მოასწრო ამ საქმის შესახებ. ეხლა მითხარი, არის თუ არა ჯალათი ის, ჯაშუშების ჩამომხრჩობი? არის თუ არა?

კოლა წამოდგა ზედ, გადმოაბიჯა ფეხები და ჩემ „კოიკაზე", ჩემ ტახტზე ჩამოჯდა. თვალები უბრწყინავდენ მას, სახე გაფითრებული ქონდა, ხელები შებორკილი. ხელები უკანკალებდენ, ისე როგორც ბაგეები. უცებ საშინელი იჭვი დამებადა, უცებ ვიღაცამ დაიყვირა ჩემში—ეს კოლა ხომ არ არის, ის ჯალათი? მაგრამ იმავე წამსვე დაიბადა პროტესტიც—არა, ეს შეუძლებელია, ეს შეუძლებელია!..

კოლა მიხვდა, კოლამ შემატყო და ნელი ხმით ჩამიჩურჩულა:

— არა, მე არ ვარ ამხანაგო! მე არ ვარ!..

ზედამხვდველი კარებს მოადგა.

— დროზდოვო, დაწექი, შენი ალაგი მონახე.

— მე და დროზდოვმა დავიწყეთ დავა, —ეხლა ჩვენ შეგვიძლია ავდგეთ, ვილაპარაკოთ, ეხლა უკვე დილაა, არავის არ აუკრძალავს ჩვენთვის ადრე ადგომა და რადგანაც ეს ასე იყო, ამიტომ ზედამხედველიც გაგვშორდა. მით უმეტეს, რომ ეს ზედამხედველი კეთილი კაცი იყო.

— ვინ არის ის? დავეკითხე მე მას.

— ჯერ მითხარი—ჯალათია თუ არა ამის ჩამდენი!

— მოიცა კაცო, ამაზე უნდა მოვიფიქრო... ის რევოლიუციონერია... ისინი ...ატენი... ესე იგი, ერთი მათგანი, მაგრამ მაშინ ორივე ასეთი ეგონათ... ერთი სიტყვით...

— ერთი სიტყვით, მართალია გიოტე, რომელიც ამბობს ყრთ ალაგას, რომ მე არ შემიძლია მიუდგომელი ვიყოვო და წარმოიდგინე რამდენათ ჩვენ ეგრეთ წოდებულ რევოლიუციონერებზე უფრო გულწრფელი და აშკარაა მთიერობა... როცა ისინი სჯიან, სჯიან მოწინააღმდეგეებს, მტრებს, გამცემლებს, ისე როგორც აი იმ „ჯალათმა" დასაჯა თავისი გამცემელი. ხოლო კითხვით მათ, რა ქვია იმ კაცებს, რომელთაც სისრულეში მოყავთ განაჩენი. ჯალათი ქვიავო გეტყვიან. დიახ, აშკარათ, ნათლათ დაარქმევენ სახელს. ჩვენ კი... შენ კი არ გესაყვედურები, მარტო, არა მეც... მეც არ ვიცი ჩემო ძამია ვინ არის ის, ჯალათია თუ არა? მეც არ ვიცი. ვიცი, რომ მან გადმოკიდა ხის ტოტზე ბაწარი, ვიცი, რომ ამ ბაწარზე ჩამოახრჩო ორი კაცი, მათ შორის ერთი ალალ მართალი, ვიცი, რომ ამ საქმეში იმას ეხმარებოდა ერთი მართლაც მოღალატე და გამცემი, ვიცი იყვენ იქ აგრეთვე ათიოდე სხვა პირებიც, რომლებიც უცქეროდენ და ხელს უწყობდენ ასეთ საქმეში მას, მაგრამ არ ვიცი ძამია, არ ვიცი ჯალათია თუ არა ის! არ ვიცი ძამია, არ ვიცი! და არ ვიცი იმიტომ, რომ ის ჩვენი კაცია, რომ ის რევოლიუციის სახელით, ესე იგი სჩადიოდა მას... და ამიტომ არ ვიცი ძამია ვინ არის ის, ჯალათია თუ... თუ პატიოსანი კაცი. დიახ, მართალია გიოტე, მე არ შემიძლია მიუდგომელი ვიყო, არც შენ შეგიძლია, არავის არ შეუძლია... საქმე ხომ ასე ცხადია, მან დაახრჩო ორი ადამიანი, ბაწარი წაუჭირა ყელში და დაახრჩო... ხოლო ჯალათია თუ არა ის, იმის თქმა კი არ შეგვიძლია... არა, არ შემიძლია... ის კაცი, რომელიც ოცდა ხუთ მანეთათ ახრჩობს დამნაშავეს, ის კაცი თავის თავს ეძახის ჯალათს, ის მალავს თავის ხელობას, ის ცოლ-შვილს უმალავს თავის საძაგელ ხელობას, ის კი... აი იქ რომ წევს კუთხეში, აი ეგერ —და კოლამ ნელა მიუთითა მას, სერგეი სუდაკოვს—ის კი ოდნავათაც არ სწუხს, ის თავიდან ბოლომდე გიამბობს ყველაფერს, რა თქმა უნდა, ჩუმათ, გამომჟღავნება აბა ხომ არ შეიძლება? და ჩვენ ვზივართ იმასთან ერთათ, ვწვებით იმასთან ერთათ, ვსადილობთ იმასთან ერთათ, ვცხოვრობთ იმასთან ერთათ, რომელიც არ ვიცით ჯალათია თუ არ?...

მე ავდექი და სერგეი სუდაკოვის საწოლთან მივედი. ხელ-ფეხ შეკრული ის გულ აღმა იწვა და ოდნავათ ხვრინავდა. მაღალი, ჯანმრთელი მკერდი ადი-ჩადიოდა, თვალები ოდნავ გაჰყეტილი ქონდა, თუმცა ეძინა, პირიც ღია ქონდა. დიდხანს, დიდხანს უცქეროდი მე სახეს, სანამ მას არ გამოეღვიძა. გააჰყიტა თვალები, გაიხედ-გამოიხედა, შემხედა მე, გაიღიმა და მითხრა:

— დილა მშვიდობის სოციალ-დემოკრატო,—ჩვეულებრივი ხუმრობა იყო მისი ეს სიტყვა,—რათ ამდგარხარ ასე ადრე?..

უკვე სძლია სინათლის შუქს ამომავალი მზის სხივებმა, უკვე გათენდა.

კოლა ისევ იჯდა ჩემ ლოგინზე და ეხლა დაღვრემილი, დაფიქრებული ჩვენკენ იცქირებოდა.

მართალი ხარ შენ, დიდებულო გიოტე; ჩვენ არ შეგვიძლია მიუდგომელი ვიყოთ!

ერთ დილას, შარშან შემოდგომაზე გაიღო კარები და დროზდოვი, სუდაკოვი და რამდენიმე კიდევ სხვა კატორღელი კანტორაში გამოიძახეს.

— რა უნდა იყოს ნეტავი! წაილაპარაკა კოლამ და ცოტათი გაფითრდა.

— Ну, живо, живо! скорѣй! აჩქარა ზედამხედველმა. ისინი წავიდენ.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი და მოითხოვეს კანტორაში წაყვანილ ტუსაღების ნივთები—ესე იგი „პაიკა" პური, ჩაინიკი, შაქარი და სხვა ასეთი.

— გზავნიან. მართლა, დღეს ორშაბათია, ეტაპია. ჩვენ როდის გაგვახსენდა ეს! წამოიძახა ვიღაცამ.

რაღაცამ დამკრა თავში.

— მიდიან, მიდიან! და თითქოს გაწყდა რაღაც გულში, რაღაცამ მიკბინა.

მიდიან! მიდიან! ხელსაც ვერ ჩამოვართმევ, ვერ გამოვემშვიდობები მათ, ვერ დაულოცავ გზას!

მიდიან! მიდიან! მიდის კოლა დროზდოვი, მიდის ბორკილებით ხელში და ფეხში, თმა გადაპარსული „კოტებით" ცარიელ, ტიტველ ფეხებზე, გულ-ღია, გძელი, წყლის ფერი ქულაჯით, რომლის ზურგზე მრგვალი შტემპელით და შავი ასოებით დაწერილია „№-ს სატუსაღო".

მიდიან! მიდიან! მიდიან ტანჯული ადამიანები, რომ ისევ იტანჯონ, ისევ გადაიტანონ ბედის ჩარხის მათრახები, მიდიან და ასე მგონია მიაქვთ თან ჩემი სიცოცხლის ნაწილი, ჩემი სულის, ჩემი გულის ნაგლეჯები... აბა რათ დავლონდი აგრე, რათ ამტკივდა ასე გული, რათ ამტკივდა სული!

მიდიან! დავემშვიდობებოდი ისიც კი ვერ მოვისაზრე, ვერ მივხვდი. მიდიან და ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს ვერ შევხვდები აწი მათ, ვერასოდეს, ვერასოდეს!

და ვინ იცის, მოკვდები მე და იქნება ვერც კი გაიგონ, რომ მოვკვდი! მოკვდებიან ისინი და ვერ გავიგებ მე, რომ მოკვდენ ისინი! მოკვდება კოლას დედა და ძალიანაც რომ მისწერონ არ ეტყვიან მას, არ ეტყვიან სანამ ერთი თვე არ გავა იმ დღიდან, როცა მან წინანდელი წერილი მიიღო. წესდებაში სწერია: კატორღელს თვეში ერთი წერილის მიღების ნება აქვს და ერთი წერილის გაგზავნის. ამიტომ, როცა კოლას დედა მოკვდება, იმ დღეს როდი შეატყობინებენ კოლას, როცა ეს წერილი მივა სატუსაღოს კანტორაში.

მიდიან! მიდიან და სამუდამოთ შორდებიან ნაცნობ ალაგებს! ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ნახვენ სამშობლო ქვეყანას თუ რომ... თუ რომ შენ არ აიმაღლე ხმა

მიდიან, ჯერ-ჯერობით მიდიან ისინი, მიაჟღარუნებენ ბორკილებს, შეურაცხყოფილნი, დამდაბლებულნი და დამცირებულნი.

კოლა და სუდაკოვი ერთ რიგში ჩააყენეს, მათ უკან კიდევ ორი კატორღელი, მერმე კიდევ ორი და ასე ბოლომდე, გაიყვანეს შუა გულ ქუჩაში და გადენეს.

— Не разговаривать! не оглядываться! Въ ногу!

..იანვარში ერთი წერილის ნაგლეჯი მივიღე, რომლისაგან გავიგე, რომ კოლა დროზდოვი ზის მ—ვის „ცენტრალკაში" და ჩვეულებრივ ოცნებობს, ვახსოვარ მე და არ კარგავს იმედს, რომ ჩემთან ერთად საქართველოს ინახულებს. მოკლე წერილი იყო და ამიტომ არაფერი ეწერა იმის შესახებ—წავა თუ არა ის უღრან ტყეში, გაექცევა თუ არა ადამიანებს...

**სპ. მცირიშვილი.**

(შემდეგი იქნება).

ბის და სხვ. საქონლის ქურდობა ხომ ყოველ დღე ხდება.

ამ.ს წინათ გაძარცვეს მღვდელი ფირცხალავა, [illegible]

16 აგვისტოს საღამოს, გაძარცვეს [illegible]

**პროვინციელი კაცი.**

**სოფ. ბიჭვინთა** (გორის მაზრა). [illegible]

**ჩილინგარი.**

**ს. ხვირი** (ქუთაისის მაზრა). [illegible]

16 აგვისტოს აქაურმა [illegible]

**ერ ხოლმელი.**

## მუშათა შორის

**შიათურა.** ფორულის მადაროების მუშების ცხოვრებიდან. [illegible] ... 1907 წელს [illegible]

და წაუყენეს რამოდენიმე მოთხოვნა. გაფიცვა არა სასურველ დროს მოხდა. აი სწორეთ აქ გამოიხატა აქაური მუშების შეუგნებლობა. რომ აქ ფეხიზელი მუშებს უოფ: ლიყვენ, მაშინ ადრე შეამჩნევდენ წუღის ამღვრევ პირებს და მუშებიც მიხვდებოდენ, რომ უდროვო-დროს გაფიცვა მუშების დამარცხება იქნებოდა.

როდესაც მუშები გაიფიცენ, კანტორამ პირდაპირ უარი თქვა მუშაობის გაგრძელებაზე. მოითხოვა კანტორამ უფრო შეგნებული პირები, რომ გაეგო თუ რაში იყო საქმე და მასთან მოწვეულ პირებისათვის დაენახვებია კანტორას თუ რა პირობებში უხდებოდა ფორულის ფირმას მუშაობა. მართლაც მოწვეულ იქნა ასეთი პირები მუშებიდან, გაეცნენ ყველაფერ ხელის შემშლელ მიზეზებს და ასე ამნაირათ შეთანხმებით ორივე მხრიდან შეიმუშავეს დროებით „კონდიცია“, ე. ი. წესდება.

ამ დროიდან მუშაობა კარგ ნიადაგზე დადგა, მუშების პირობებიც არაფრით არ შელახულა, პირიქით, უფრო ყურადღებითაც მოექცა კანტორა. არსებობდა 8 საათის სამუშაო დრო, დღიური ხელფასი 1 მ. 80 კ. უკანასკნელ „ჩეკელამდე“ 1 მ. და სხვა. ეხლა, რაკი დარწმუნდა კანტორა იმაში, რომ უწინდებურათ მუშებს აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა სხვაგვარათ დაიწყო მოქმედება. მისცეს სამსახური ნოქრებს, რომლებიც უწინ მათი ჭკუით „სოციალისტიც“ და ხალხის ბედნიერებაზე დიდათ გულშემატკივარი იყვნენ და საუბედუროთ, დღესაც ერევიან ხალხში წინანდებური სიამაყით.

ეს ვაჟბატონები დღეს კაპიტალისტების აგენტათ ინათლავენ თავს და თუ უწინ მუშების ხელფასის მომატებაზე „ზრუნავდენ“ და უთითებდენ იმ კაპიტალისტებს, რომლის აგენტებათ ეხლა არიან ისინი, დღეს მუშების ხელფას, ნაკლებათ აფასებენ და ეუბნებიან მუშებს: 35 კაპეიკათაც კი იმუშავებთ თუ ვინმე გამუშავებდეთო და პირიქით, ისინი კანტორას ეღრიჯებიან, ოღონდ ჯამაგირი მოგვიმატე და ზედმეტი მუშაობა ჩვენ კისერზე იყოსო და სხვა.

არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ვაჟბ.-ტონის მოქმედება, რომლის მოქმედებამ უგელაზე დიდი ზარალი მოუტანა აქაურ მუშებს. ეს ვაჟბატონი ბ. ვლადიმერ კალანდაძეა აქ სხვებთან ერთათ გ. კალანდაძეც ნოქრად დადგა, მაგრამ როდესაც გაიგო აქაური მუშების სულის კვეთება და, რომ კარგათ შეესრულებია ხაზეინიდან დავალებული ფუნქცია, ამისათვის გაცილდა ნოქრის მოვალეობას და ამიდო იჯარით იქვე ფორულის სამუშევრებთან მადაროები. ბ. ვლადიმერ კალანდაძე ყველას არწმუნებდა, რომ იმ პირობებში ეყოლება მუშები, როგორც ფორულის კანტორას და არავითარი ხელფასის დაკლება არ მაქვს მხედველობაშიო, მაგრამ როდესაც დაიწყო მუშაობა, დაწყებიდან დაუკლო 20 კ. იმაზე რასაც აძლევდა ფორულის კონტორა. გაიდა რამდენიმე ხანი და კიდევ მოუკლო მუშებს 40 კ. შემდეგ სულ „აკორტით“ გადააქცია მისი სამუშევრები, სადაც გასცა ფუთობით მადაროში ქვის მოჭრა, და ამით მაგალითი უჩვენა კანტორას, რომ ეხლა ყველა უფლებების წართმევა შესაძლებელია მუშებისათვის სულ მცირე ბრძოლითო. ასეთმა მოქმედებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქაურ ზოგიერთ ლითონის მოყვარულ მუშებში და გამოვიდენ ნარდათ სამუშევრების ასაღებათ; ამ საქმეში უმთავრესი როლი ითამაშა დარჯვენტი მერმანიშვილმა, ბევრხელ მისცეს წინადადება მუშებმა დათხოვოდა, მაგრამ არავითარ წინადადებას არ დაემორჩილა ეს ვაჟბატონი, რაც ამით შესაფერი ნიადაგი მოუმზადა მთელ ფორულის მადაროებში აკორდული ხასიათი მისცემოდა იქაურ სამუშევრებს.

ხშირი იყო ამის შემდეგ მუშების გაშვება. ყველა ამის შემდეგ, როდესაც კანტორამ თავის აგენტების შემწეობით გზები დახლართა ობობას ქსელივით, რომ მუშები თავის თავათ გამბულიყო შიგ, კანტორაც დგება და უცხადებს მუშებს ორი კვირის შემდეგ მუშაობის შემდეგ 230 კაცს სამუდამოთ დათხოვნას რადგან სამუშევრები ამდენი მუშების არ აქვს ვითომ კანტორას. მუშებმაც აირჩიეს შემდეგ კაცები, რომ მოელაპარაკებოდა კანტორას რა მიზეზი იყო ასეთ დროს მუშების ასე უეცრათ დათხოვა, კანტორა უოველთვის მოკლეთ უპასუხებდა: არ მაქვს სამუშევრები და ამ პირობებში არ შეუძლია კანტორამ მუშაობა გააგრძელოს, რადგან ზარალობსო. მუშებმაც მიხვდენ თუ რა უნდოდა კანტორას მუშებიდან და მოილაპარაკეს თუ რა გზას დაადგენ. კანტორა 3000 კაცში 60 კაცს იტოვებდა. მუშები დაადგენ შემდეგ მოსაზრებას: რადგანაც კანტორამ ასეთ მოხერხებულ დროს ლოკაუტი გამოგვიცხადა და ჩვენს შემდეგაც მოსალოდნელია იმ 60 კაცის დათხოვნაც და მის ადგილზე სხვა მუშების მიღება, ამისათვის უმეტესობის გადაწყვეტილებით მიიღ.ს რამდენიმე პროცენტების დაკლება დღიურ ჯამაგირზე იმ შემთხვევაში, თუ კი ყველა მუშები თავის ადგილს დარჩებოდენ.

პირველი ცდა ასეთი იყო მუშების კანტორასთან, რომ ყველა მუშები ისევ თავის ადგილზე დარჩენილიყვენ. კანტორამ წინადადება მისცა 25 პროც. დათანხმებულიყვენ და მუშებსაც მეტი რა გზა ქონდათ, დათანხმდენ.

ამ გვარათ, ფორულის კანტორამ პირველი ნაბიჯი გადადგა მუშების უფლებების წასადებათ.

**ცხოვრების უკმაყოფილო.**

---

**ოდესის მუშათა ცხოვრებიდან.** 1905-6 წელში ოდესაში კავკასიის გემებზე მუშაობდენ ქართველი მუშები, რომლებსაც შესამჩნევათ ქონდათ პირობები გაუმჯობესებული. იმ დროს, თვით მუშები განაგებდენ თავიანთ საქმეს ათასი ფუთის გადაზიდ-გადმოზიდვაში ღებულობდენ 17 მ. 75 კ., და ეს ფულები კი წმინდათ რჩებოდათ მათ. 1906 წ. გაფიცვა მოახდინეს მატროსებმა, მათ მხარი დაუჭირეს ქართველმა მუშებმაც, მაგრამ ამ დროს უკვე მზათ ყავდათ ხაზეინებს „კავშირის“ ხალხი. მუშების გაძევება ოდესიდან და მათ ალაგზე „კავშირის“ ხალხის დაყენება ერთი იქნა. „რუსის“ საზოგადოებამ საქმე მოიჯარადრეს ჩააბარა. ეხლა საზოგადოება ათასი ფუთის გადაზიდვაზე მოიჯარადრესთან შეთანხმებით იხდის ათ მანეთს. ე. ი. წინანდელზე 7 მ. და 75 კ. ნაკლებს. აქედან 7 მ. და 50 კ. მუშებს აძლევენ და 2 მ. 50 კ. მოიჯარადრეს რჩება. საქონლის დაცვა და სხვა პასუხის მგებლობაც მუშებს ევილება. ასეთი ბედი ეწვია ნოვოროსიის მუშებსაც და ასეთი ბედი მოელოდა ფოთის მუშებსაც, რომ არ დათანხმდებოდენ ახალ პირობებზე. წინეთ ზიზღის თვალით უყურებდენ „კავშირის. ხალხი ქართველებს და რეზინებით უმასპინძლდეოდენ, ეხლა იბრუნეს პირი მარცხნით და გაიგეს, რომ ორივეს ერთი და იგივე ინტერესები აქვთ, ერთი მტერი ყავთ და ერთი მოყვარე. ამის შემდეგ შეძლეს ქართველებმა რომ ეძიონ ნაპირებზე სამუშაო. უმუშევართა რიცხვი ოდესა-ნოვოროსიაში—50, კერჩში 15, სევასტოპოლში 15 და ოდესაში 90, სულ 170 კაცი. წინეთ თუ ხაზეინები სათოფეზე არ იკარებდენ ქართველ მუშებს, ახლა სულ სხვაფერ იქცევიან. ამას წინათ ფეოდოსიაში რუსები გაიფიცენ, იქაურმა ადმინისტრაცია ოდესაში გამოგზავნა წარმომადგენელი, რომელმაც წაიყვანა ქართველები მოტყუილებით, მაგრამ იქიდან ძმურათ გამოისტუმრეს მუშებმა, ოდესაში გაიფიცენ პურზე მომუშავე რუსები, ხაზეინებმა მათ დათხოვა მოუნდომეს და მიმართეს ქართველ მუშებს შემდეგი წინადადებით: არტელში კაცი არ გვყოფნის და, თქვენ ქართველები, როგორც კარგი მუშები, ჩაეწერეთ სიაში და მიგიღებთო, მაგრამ როცა გაიგეს მუშებმა საქმე რაშიაც იყო უარი უთხრეს. **მუშა ი—ე.**

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების ანგარიში:

1909 წ. 6 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა 168 მ. 80 კ. დაიხარჯა: მარკები 8 მ. 35 კ. აფიშები და ბილეთები 6 მ. დურგალს 2 მ. ღვინო ბუფეტისათვის 3 მ. 50 კ.; პარიკმახერი 6 მ. 50 კ. მსახური და განათება 5 მან.; წვრილმანი 6 მ. 25 კ.; სცენის მოყვარეთა გზის ხარჯი ფოდიდან და ძველ-სენაკიდან 32 მ. 52 კ.; სულ ხარჯი—70 მ. 12 კ.; წმინდა შემოსავალი დარჩა 98 მ. 68 კ.

29 ივნისს გამართულ სეირნობა-ალეგრის შემოსავალი: ბალში შესასვლელი ბილეთების 121 მან. 8 კაპ. ლოტარეა-ალეგრის ბილ. 386 მ. 94 კ. ნაღდ ფულათ შემოწირული სხვა და სხვა პირთაგან 42 მ. 80 კ. ბ-ნ სეხ-ნის მიერ ლოტარეიაში მოგებულ და დატოვებულ კამეჩის ფასი 21 მ. სულ შემოსავალი 571 მან. 82 კ. ხარჯები: რაკეტები და ბენგალის ცეცხლები 15 მ., ალეგრის ნებართვის მისაღებათ გაწეული ხარჯები:—მგზავრობას, ტელეგ. და მარკებს 29 მ. 5 კ. 40 ადლი წითელი შილის (კუმაჩი) ფასი 5 მ. ქაღალდის ფარნები 3 მან. [illegible], სანთელი, [illegible] მსახური და ნივთების გადატანა 9 მან. 12 კაპ. სულ ხარჯი 61 მან. 32 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 510 მან. 50 კაპ.

ქალბატონ ოლღა ხოფერიას მიერ სხვადასხვა პირთაგან შეკრებილი ნაღდი 279 მ. 65 კ. სრულიად კი შემოსული, გარდა საწევრო გადასახადისა 888 მ. 83 კ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა თავის მოვალეობათ სთვლის თავისი ულრმესი მადლობა შესწიროს ყველას, რომელთაც არ დაიშურეს გულ-უხვი დახმარება ამ კეთილ საქმისთვის.

**გამგეობა:** ლუკა ქვანია, ოლღა ხოფერიასა, მღვდელი გიორგი გამხარდია, ნინა თევზაია.

**მდივანი** (გვარი ვერ გავარჩიეთ).

---

რედაქტორ-გამომცემელი
**ნ. მელიქ-შახნაზარიანცი.**

## განცხადებანი

**ივ. გომელაურის** შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნი **ყდით** ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფ. 4 კ. (5—(3

**კბილის ექიმი**

ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—12

**კერძო სასწავლებელი**

**ლ. ფ. პეტრაშევსკისა**

ვაჟები და ქალები ერთათ სწავლობენ

(**ყოფილი მე-5 გიმნაზიის „ნაჩალნიცა“**) მიხეილოვის პროსპექტი № 166.

17 აგვისტოდან დაიწყება მოწაფეების მიღება მოსამზადებელ, 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში. **მათემატიკას ასწავლიან ხავაჟო გიმნაზიის პროგრამით.** განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული **ბუნების მეტყველებას და ენებს.** ყოველ დღე ბალში სეირნობა. სავალდებულოა ცხელი საუზმე. შეიძლება ბავშვების პანსიონერათაც მიღება. სკოლას აქვს საბავშვო ბ ღი. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება სკოლის გამგესთან ყოველ დღე, 10—2 საათამდე. (3—1)

# პროვოდნიკის

ამხანაგობა

რიგაში











1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება

ამიერ-კავკასიისთვის

თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბლი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(24—5.—36).